რეგისტრირებულია
საქართველოს
იუსტიციის
სამინისტროს
სარეგისტრაციო
კოლეგიის
1995 წლის 22 XII
№ 37/3
დადგენილებით.

საქართველოს გოგადი პრაქტიკისა

და ოჯახის ექიმთა ასოციაციის

წესდება

ქ.თბილისი
1995 წელი

საქართველოს ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმთა ასოციაციის წესდება

1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმთა ასოციაცია, (შემდგომში "ასოციაცია"), წარმოადგენს ნებაყოფლობით გაერთიანებას.

1.2. ასოციაცია საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, მომქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე წესდების მიხედვით.

1.3. ასოციაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, მას შეუძლია თავისი სახელით დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს ქონება, იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოს, არბიტრაჟსა და სამედიატორო სასამართლოში.

1.4. ასოციაციას აქვს მრგვალი ბეჭედი, შტამპი და სხვა ატრიბუტიკა, საბანკო ანგარიში და დამოუკიდებელი ბალანსი.

1.5. ასოციაცია ახორციელებს სხვადასხვა სახის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას. ამისათვის ასოციაცია ქმნის საწარმოებსა და სამეურნეო ანგარიშიან ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ იურიდიული პირის უფლებები და რომელთა შემოსავალი გამოიყენება ასოციაციის საწესდებო მიზნისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

1.6. ასოციაცია მოქმედებს თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპით.

1.7. ასოციაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგა-ნიზაციებისა და საზოგადოებების წევრი ან მათი დამფუძნებელი.

1.8. ასოციაცია ამყარებს საგარეო ურთიერთობებს საზოგადოებრივ, პროფესიულ, სამეცნიერო, სამთავრობო და სხვა ორგანიზაციებთან.

1.9. ასოციაცია საქართველოში არსებული კანონმდებლობის მიხედვით იურიდიული პირის უფლებებს იძენს ოფიციალური რეგისტრაციის მომენტიდან.

2. ასოციაციის მიზანი და ამოცანები

2.1. ასოციაციის მიზანია საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, რესპუბლიკაში თანამედროვე ტიპის პირველადი სამედიცინო მომსახურეობის სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილის - საოჯახო მედიცინის დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობის გზით.

2.2. ასოციაციის ამოცანებია:

- საქართველოში საოჯახო მედიცინის თანამედროვე კონცეფციის შემუშავება.
- საოჯახო მედიცინის პრაქტიკაში დანერგვისა და შემდგომი განვითარების, მისი როგორც დამოუკიდებელი სამედიცინო დარგის აღიარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა მოსახლეობასა და სამედიცინო საზოგადოებაში.
- საქართველოში ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმის პროფესი-ული საქმიანობის სტანდარტებისა და ნორმატივების შემუშავება, მათი პრაქტიკაში გამოყენების შედეგების ანალიზი და კონტროლი.
- ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმის დიპლომამდელი სწავლების და დიპლომის შემდგომი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მომზადება და მათი პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა.
- საოჯახო მედიცინის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და პრაქტიკული ღონისძიებების გეგმების შემუშავება, მათი ორგანიზაცია და კოორდინაცია საქართველოს მოსახლეობის პირველადი სამედიცინო მომსახურეობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით.
- საოჯახო მედიცინის დარგში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებისა და უახლესი მიღწევების შესწავლა და მათი დანერგვა საქართველოს სამედიცინო პრაქტიკაში.
- საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საქართველოში საოჯახო მედიცინის განვითარების მიზნით.
- საგამომცემლო და სარეკლამო საქმიანობის წარმართვა საქართველოს მოსახლეობისა

და მედიცინის მუშაკებისათვის საოჯახო მედიცინის შესახებ სამეცნიერო-პრაქტიკული და პოპულარული ინფორმაციის მიწოდების მიზნით,

- საქართველოში ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმთა პროფესიული უფლებებისა და ინტერესების დაცვა, აგრეთვე მათი პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა;
- საოჯახო მედიცინის პრინციპებით მომუშავე სამედიცინო და ფარმაცევტული პროფილის დაწესებულებების შექმნა.

3. ასოციაციის უფლებამოსილებანი

თავისი ძირითადი მიზნების განსახორციელებლად ასოციაცია უფლებამოსილია:

- დაინტერესებულ ორგანიზაციათა ან კერძო პირთა დაკვეთით, ხელშეკრულების საფუძველზე, აწარმოოს სამეცნიერო შრომებისა და სასწავლო პროგრამების შექმნა და ექსპერტიზა;
- დაიცვას ასოციაციის წევრთა კანონიერი უფლებანი;
- დააწესოს ჯილდოები და პრემიები სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის;
- ხელშეკრულების საფუძველზე დაამყაროს კონტაქტები სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებთან წესდებით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების მიზნით.
- შექმნას სამედიცინო (დიაგნოსტიკური, სამკურნალო, პროფი-ლაქტიკური და რეაბილიტაციური) და ფარმაცევტული (აფთიაქები, საბითუმო ფარმაცევტული) დაწესებულებები;
- აწარმოოს საინფორმაციო, საკონსულტაციო, სამეცნიერო-ტექნიკური, სარეკლამო საქმიანობა;
- გამოუშვას და გაავრცელოს თავისი ნაბეჭდი პროდუქცია: სპეციალიზებული სამეცნიერო ჟურნალები, გაზეთები, სასწავლო -მეთოდური მასალები, სიმპოზიუმებისა და სემინარების შრომები, სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენები;
- ორგანიზაცია გაუკეთოს და აწარმოოს საოჯახო მედიცინის დარგში სპეციალისტთა პოსტდიპლომური მომზადების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამებით;
- ჩამოაყალიბოს ასოციაციის რეგიონალური განყოფილებები.

4. ასოციაციის სტრუქტურა

4.1. ასოციაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კონფერენცია, რომელიც მოიწვევა არა უგვიანეს ორ წელიწადში ერთხელ. კონფერენციის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს გამგეობის წევრთა ხმის უმრავლესობა. კონფერენცია უფლებამოსილია თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა 2/3;

4.2. კონფერენცია უფლებამოსილია:

- დაამტკიცოს ასოციაციის წესდება და სხვა საპროგრამო დოკუმენ-ტები, შეიტანოს ცვლილებები აღრე დამტკიცებულ საპროგრამო დოკუმენტებში;
- აირჩიოს ასოციაციის პრეზიდენტი, მოადგილეები, გამგეობის წევ-რები და სარევიზიო კომისია;
- დაამტკიცოს არჩევით ორგანოთა ანგარიშები და შეაფასოს მათი მუშაობა;
- დაამტკიცებს ასოციაციის საქმიანობის ფინანსური ანგარიში;
- გამგეობის ან ასოციაციის წევრთა ჯგუფების წარდგინებით განიხილოს განსაკუთრებით მნიშვნელო-ვანი საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

4.3. კონფერენციათა შორის ასოციაციის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა. გამგეობის შემადგენლობა განისაზღვრება 15 წევრით. გამგეობაში შედიან მუდმივმომქმედი კომისიების თავმჯდომარეები, პრეზიდენტის მოადგილეები, ხაზინადარი, სწავლული მდივანი და კონფერენციის მიერ არჩეული სხვა პირები.

4.4. გამგეობაში იქმნება მუდმივმომქმედი კომისიები. ყველა კომისია დამოკიდებულია და ანგარიშვალდებულია ასოციაციის გამგეობის წინაშე.

4.5. გამგეობას ხელმძღვანელობს ასოციაციის პრეზიდენტი.

პრეზიდენტის უფლებამოვალეობანია:

- გამგეობის მუშაობის ორგანიზაცია;
- გამგეობის წევრთა შორის მოვალეობების განაწილება;
- ასოციაციისა და მისი გამგეობის სახელით დოკუმენტებზე ხე-ლის მოწერა;
- გამგეობასთან შეთანხმებით ასოციაციის ფულადი სახსრების ხარჯვის საკითხებზე გადაწყვეტი-ლებების მიღება;
- ასოციაციის სახელით ურთიერთობების და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმება;
- ასოციაციის წარმოდგენა ნებისმიერ ინსტანციაში;
- ასოციაციის აპარატის თანამშრომლების დანიშვნა და განთავისუფლება.

4.6. ასოციაციის სარევიზიო კომისია ახორციელებს კონტროლს ასოციაციის საორგანიზაციო, სამედიცინო, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ- სამეურნეო და საფინანსო საქმიანობაზე. სარევიზიო კომისია შედგება ასო- ციაციის 3 წევრისაგან. ასოციაციის საქმიანობის რევიზია წარმოებს აუცილებლობისამებრ, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ერთხელ. რევიზიის შედეგები გამგეობას და რიგგარეშე შემოწმების ჩატარების ინიციატორებს ეცნობებათ წერილობით. სარევიზიო კომისიის ანგარიში წარედგინება ასოციაციის მორიგ კონფერენციას.

5. აცოცოაციის წევრობა

5.1 ასოცოასიის წევრი სეიძლება იყოს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც აღიარებს ასოციაციის წესდებას, უშუალოდ მონაწილეობს მისი მიზნისა და ამოცანების რეალიზაციაში და რეგულარულად იხდის საწევრო გადასახადებს. ასოციაციაში შესვლის მსურველი პირი განცხადებით მიმართავს ასოციაციის გამგეობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გამგეობის წევრთა ხმების უმრავლესობის საფუძველზე. გამგეობის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან განმცხადებელი ითვლება ასოციაციის წევრად. ასოციაციის წევრი იღებს გამგეობის მიერ რეგისტრირებულ მოწმობას.

5.2. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

- აირჩიოს და არჩეულ იქნას ასოციაციის ორგანოებში;
- მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის მიერ გატარებულ ყველა ღონისძიებაში;
- გამოიტანოს გამგეობის სხდომაზე განსახილველად ნებისმიერი საკითხი ან წინადადება, რომელიც შედის ასოციაციის კომპეტენციაში.

5.3. ასოციაციის წევრი სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით ასოციაციის ნებისმიერ შეკრებაზე. მას ენიჭება სრული უფლება დაბრკოლების გარეშე ისარგებლოს იმ ინფორმაციით, რომელსაც ფლობს ასოციაციის გამგეობა. მიიღოს კონსულტაციური, სამართლებრივი, ორგანიზაციულ-მეთოდური, სამეცნიერო-პრაქტიკული დახმარება და ხელის შეწყობა ასოციაციის გამგეობისაგან, დაესწროს ასოციაციის ყველა არჩევით ორგანოს შეკრებას.

5.4. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

- დაიცვას ასოციაციის წესდების მოთხოვნილებანი და იზრუნოს მისი პროგრამით გათვალისწინებული პრობლემების გადაჭრისათვის;
- თავისი მოღვაწეობით ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნისა და ამოცანების განხორციელებას;

5.5. ასოციაციაში შესასვლელი შესატანის და წლიური საწევრო გადასახადის ოდენობას განსაზ-ღვრავს გამგეობა.

5.6. ასოციაციაში გაწევრიანება და ასოციაციიდან გამოსვლა ნებაყოფლობითია.

5.7. ასოციაციიდან მისი წევრი შეიძლება გაირიცხოს გამგეობის მიერ შემდეგ შემთხვევებში:

- საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო ბოლო ორ წელიწადში;
- ასოციაციის წევრისათვის აუცილებელი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის და იმ საქმიანობისათვის, რომელიც შეუთავსებელია ასოციაციის წევრობისთვის.

ასოციაციიდან გარიცხვა ხდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

5.8. ასოციაციის საპატიო წევრად შეიძლება იყოს არჩეული პირი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი დამსახურება საქართველოში საოჯახო მედიცინის განვითარებაში და მხარს უჭერს ასოციაციის მოღვაწეობას.

5.9. ასოციაციის საპატიო წევრობა შეიძლება მიენიჭოს საზღვარგა-რეთის ქვეყნების სპეციალისტებს და ორგანიზაციებს, რომელნიც თავიანთი მოღვაწეობით ხელს უწყობენ საქართველოში საოჯახო მედიცინის განვითარებას.

6. ასოციაციის სამეურნეო საქმიანობა და ფულადი სახსრები

6.1. ასოციაცია ანხორციელებს სამეურნეო, საწარმოო საქმიანობას და ქმნის საწარმოებს და ორგანიზაციებს იურიდიული პირის უფლებით ან უამისოდ.

6.2. ასოციაციასთან შექმნილი საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავალი მოხმარდება მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული მიზნისა და ამოცანების განხორციელებას.

6.3. ასოციაციასთან შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები სა-ხელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობას მოახდენენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4. ასოციაცია ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.5. ასოციაციის ფულადი სახსრებია:

- საწევრო გადასახადები;
- შემოწირულობანი;
- წესდებით გათვალისწინებული სამეურნეო საქმიანობიდან მიღე-ბული შემოსავლები.

7. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

7.1. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე.

7.2. ლიკვიდაციის შემთხვევაში ასოციაციის ქონება განაწილდება ზემდგომი ორგანოს მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომიისის გადაწყვეტილებით მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

Грузия • Тбилиси
ГМЦ ГСКР